REVIEW რეცენზია

AN EXCELLENT AND NECESSARY BOOK

კარგი და აუცილებელი წიგნი

პაატა გერგაია
ისტორიის დოქტორი
კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, თბილისი

Paata Gergaia
Doctor of Sciences, Professor at the Caucasus University.
Tbilisi, Georgia

The two-volume monograph "Kings of Georgia" by Professor Avtandil Tsotskolauri, doctor of history, is discussed in the review (editor academician R. Metreveli). Also, it shows the importance of the review work in presenting the multifaceted activities of the Georgian kings.

არსებობს კარგი, ძალიან კარგი და აუცილებელი წიგნი. აუცილებელი იმ გაგებით, რომ ძალიან კარგიცაა და აუცილებელიც ჯერ მკითხველისთვის, მთლიანობაში კი - მეცნიერებისთვის. დიახ, ასეთ წიგნებს საჭირო წიგნებს ეძახიან და მას ერუდიციით, ინტელექტით გამორჩეული ისტორიკოსები ქმნიან. სწორედ ასეთი წიგნის კატეგორიიდანაა ისტორიის დოქტორ ავთანდილ წოწკოლაურის ორტომეული ,,საქართველოს მეფეები" (რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი).

დიახ, **წიგნი საქართველოს ისტორიაზეა, ქართველ მეფეებზე, ბაგრატიონ მეფეებზე – მეფის ისეთ ფენომენზე, სხვათაგან ბევრით გამორჩეულნი და ორიგინალურნი რომ არიან.**

საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ განსაზღვრა ის უმძიმესი ვითარება, რომ მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოს განუწყვეტელი ბრძოლა უწევდა გადარჩენისთვის, ქართველებს – ქართველობის შენარჩუნებისათვის. ქართველ მოსახლეობას ტრადიციულად ჩამოუყალიბდა და ძველთაგანვე მოსდგამდა თავისუფლებისათვის მამაცური ბრძოლისა და შეუპოვრობის სულისკვეთება. **სწორედ ასეთ ხალხს შეეძლო შეექმნა მეფის ისეთი ფენომენი, როგორიც ქართველი მეფეა.**

ქართველი მეფე ერისათვის სრულიადაც არ იყო მიუკარებელი, განმარტოებული, მრისხანე, უმოწყალო, უზენაესი არსება. ისინი ერთობ დემოკრატიულნი იყვნენ – ახლოს იდგნენ ხალხთან, იცნობდნენ მათ ცხოვრებას. ქართველი მეფე ლიდერი იყო, წინამძღოლი იყო შრომაშიც, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეშიც, მტერთნ ბრძოლებშიც. ბრძოლის ველზე მეფეები თვითონ მიუძღოდნენ თავიანთ ლაშქარს, მეომრებს თავდადებისა და შეუპოვრობის, გაუტეხლობისა და თავგანწირვის მაგალითს თვითონ აძლევდნენ. მეფეები ლაშქართან და ხალხთან ერთად იზიარებდნენ გამარჯვების სიხარულსა და დამარცხების ტკივილსაც. ეს ყოველივე ზრდიდა მეომრებში მეფისადმი სიყვარულსა და ერთგულებას,

განუმტკიცებდა მტრისადმი შეურიგებლობის რწმენას. ქართველ მეფეთა დამსახურება იყო, რომ ქართველთა ლაშქარი, მაშინდელ დასავლურ თუ აღმოსავლურ სამყაროში, ცნობილი იყო, როგორც საუკეთესო საბრძოლო თვისებების მქონე.

ქართველ მეფეთათვის უზენაესი ამოცანა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში ეროვნული პოლიტიკის დაცვა და განვითარება იყო. შესაბამისად, მეფე და სამეფო კარი ადგენდა **საზოგადოებრივი განვითარების ეროვნულ მოდელს – ეროვნულ სტრატეგიას,** რაც ეფუძნებოდა მდიდარ ეროვნულ ტრადიციებს, ეროვნულ ფსიქიკას, ზნე-ხასიათისა და გეოგრაფიული გარემოს გათვალისწინებას. ქართველ მეფეთა პოლიტიკურ მრწამსში მთავარი ეროვნული სტრატეგიის განხორციელება იყო და იქითკენ იყო მიმართული მათი მოღვაწეობის უდიდესი ძალისხმევა. საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია კი ის ფაქტორი, ტაქტიკა იყო, რაც ეხმარებოდა ეროვნული სტრატეგიის განხორციელებაში, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ეცნობი მეფეთა ისტორიას და რწმუნდები, რომ მათი **უზენაესი მოწოდება ხალხისათვის სამსახური, სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლა იყო; რწმუნდები, რომ მათთვის ყველაზე და ყველაფერზე მაღლა იდგა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები და არა კერძო – პიროვნული და ჯგუფური მისწრაფებები.** ეს ის ძვირფასი გამოცდილებაა, რასაც მეფეები თაობიდან თაობას გადასცემდნენ და გაკვეთილად და ანდერძად უტოვებდნენ. ქართველი მეფის ამგვარი ფენომენის დადასტურებაა ის დიდი ნდობა და სიყვარული, მათ ქართველ ხალხში რომ მოიპოვეს და რომ მას „არც დავიწყება არ უწერია".

ქვეყნის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, ქართველ მეფეებს მუდმივად უწევდა ბრძოლა **ქვეყნის შინაპოლიტიკური ვითარებისა და მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის**. ამას ისინი აღწვდნენ მთავართა და ფეოდალთა თვითნებობის აღკვეთით, განკერძოებისაკენ მათი მისწრაფების დაძლევის გზით. საქმე ისაა, რომ განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლება პროგრესული ელემენტი იყო _ მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლება იმავდროულად ქვეყნის სიძლიერეს ნიშნავდა. მის გარეშე კი შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, სამეურნეო-კულტურული წინსვლა.

ქართველი მეფეები მუდმივად ზრუნავდნენ **ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე,** ეძებდნენ მისი გადაჭრის ყველაზე მისაღებ გზებსა და ხერხებს, მიაჩნდათ რა, რომ საქართველოს აწყმოსა და მომავლის ბედი ეკონომიკური ბრძოლის ველზე გადიოდა. მათი დამსახურებაა, რომ საქართველოს ჰქონდა ეპოქის შესაბამისად განვითარებული სოციალური მდგომარეობა; მრავალდარგიანი ეკონომიკა, ინტენსიური მეურნეობა, მაღალი სამეურნეო კულტურა, მტრისაგან განადგურებული მეურნეობის მოკლე დროში აღდგენის შესაძლებლობა.

ქართველი მეფეები კარგად აცნობიერებდნენ, რომ ქვეყნისა და ერის თვითმყოფადობის გადარჩენის ერთ-ერთი გზა იყო **ხალხში ეროვნული ცნობიერების განმტკიცება, სამშობლოს სიყვარულის გაღვივება.** მისი მიღწევა კი შეიძლებოდა ქვეყნის ისტორიული წარსულის ცოდნით, ერის

სულიერი და მატერიალური კულტურის დაცვითა და განვითარებით. ამით აიხსნებოდა, რომ მეფეების მზრუნველი ხელი არ აკლდებოდა განათლებისა და კულტურის კერებს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ამ საქმეში საერო ხელისუფალთ მხარში ედგა და ლომის წილს ასრულებდა ქართული ეკლესია.

_ ქართველმა მეფეებმა კარგად იცოდნენ, რომ **ეროვნული სტრატეგიის განხორციელება შეუძლებელი იყო მართლმადიდებლური ეკლესიის მხარდაჭერის გარეშე,** იცოდნენ სარწმუნოების როლი ქვეყნის ისტორიაში. ამიტომ ისინი მუდმივად ზრუნავდნენ ეკლესიის გაძლიერებაზე. მათი დამსახურებაა ის, რომ საქართველოს მოსახლეობაში შერწყმული იყო მართლმადიდებლური რწმენა და ეროვნული ხასიათი – ქრისტიანობისთვის ბრძოლა იმავდროულად ეროვნულობისთვის ბრძოლა იყო და პირიქით. ქრისტიანობა ქვეყნის ერთიანობის იდეოლოგიური საფუძველი იყო და ქვითკირის როლს ასრულებდა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში. მეფეთა ისტორია იმასაც გვაცნობს, რომ სამღვდელოება თავისი ქვეყნის დამცველთა რიგებში იდგა და მხოლოდ სიტყვითა და ლოცვით არ იბრძოდა ღმერთისა და ერისათვის.

_ ქართველმა მეფეებმა იცოდნენ, რომ **ისტორია ცხოვრების საუკეთესო გაკვეთილია და ცდილობდნენ სცოდნოდათ ისტორიული წარსული.** ამით მათ წარსულში ჩაბრუნება კი არა, დღევანდელობაში მისი გაცოცხლება სურდა – ისტორიის გაკვეთილების სწორად გამოყენებაში ხედავდნენ რა ქვეყნის აწმყოსა და მომავალს.

შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგია დიდ მოთხოვნებს უყენებდა მეფეებს და განსაზღვრავდა მათ ფუნქციებს ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეში. ბაგრატიონმა მეფეებმა უმაღლესი პასუხისმგებლობით ატარეს ის დიდი სახელმწიფოებრივი ტვირთი, საუკუნეთა მანძილზე პერმანენტულად რომ იდგა მათ წინაშე. უკვე XI-XII საუკუნეებში საქართველომ, მეფეთა ხელმძღვანელობით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მიაღწია განვითარების იმ დონეს, რომ ღირსეულად იდგა მაშინდელი მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთა გვერდით; ქართველებს ყოველთვის კლასიკური დემოკრატიის ისეთი გამოცდილება ჰქონდათ, რომ მისი ნიშნებისა და პრინციპების იმპორტი არასოდეს სჭირდებოდათ; ქართულ კულტურაში (მისი ფართო გაგებით) უკვე დაიწყო რენესანსის პროცესი – ორი საუკუნით ადრე, ვიდრე დასავლეთ ქრისტიანულ სამყაროში (!).

ეს უდიდესი მიღწევა იყო, განვითარების ის საფეხური იყო, რომელიც საქართველოს გადარჩენის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი გახდა, მომდევნო საუკუნეებში მრავალგვარი წარმომავლობის მომხდურთან განუწყვეტლივ რომ უხდებოდა ბრძოლა. გაუძლო ისეთ განსაცდელსაც (XV-XVI საუკუნეების მიჯნა), ოსმალეთისა და ირანის დამეზობლებამ და ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა საერთაშორისო მოვლენებმა საქართველოს ისტორიის ჩარხი უკუღმა რომ დაატრიალა – მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეულ საქართველოსა და ქართველობას დღევანდელი დღეცა და ხვალინდელიც გაქრობა-გადაშენებით რომ ემუქრებოდა. ამას თან ერთვოდა მწვავე შინაფეოდალური ომები – სიმშვიდე ფეოდალურ ეპოქაში პირობითი ცნება რომაა.

წიგნში გაცემულია პასუხი კითხვაზე – „რამ გვიხსნა, რამ გადაგვარჩინა" –მარადიულ ბედისწერასავით რომ მოსდევს ჩვენს ისტორიას". ვეცნობით მიზეზებსა და პირობებს, რასაც მოხერხებულად იყენებდნენ მეფეები იმის შესაბამისად, როგორსაც ჰკარნახობდა მათ ცხოვრების სასტიკი სინამდვილე. ამას აღწევდნენ იმით, რომ „იცოდნენ დროთა შესაფერისი ხერხი, დროთა შესაფერისი ცოდნა ჰქონდათ, დროთა შესაფერისი მცნეობა და გამრჯელობა".

საქართველოს ჰყავდა გმირი მეფეები. ყველა გმირი ვერ იქნება, გმირი ვერ იქნებოდა ვერც ყველა ქართველი მეფე. ისინი კიდევაც მარცხდებოდნენ, ზოგჯერ მტერთან არასწორ გარიგებაზეც წასულან, ზოგჯერ მათში პიროვნულსაც უმძლავრია... მაგრამ, როცა საქმე ქართველი სახელმწიფოებრიობის დაცვასა და შენარჩუნებას, საქართველოსა და ქართველობის დაცვასა და შენარჩუნებას ეხებოდა, მაშინ ისინი, გმირ მეფეთა მსგავსად, შეუვალნი და გაუტეხელნი იყვნენ.

ეცნობი სამშობლოსადმი ქართველ მეფეთა უსაზღვრო სიყვარულის, მისთვის თავდადების მრავალ მაგალითს, მისთვის სიცოცხლის გაწირვასაც რომ არ ერიდებოდნენ. საქართველოსთვის მოწამეობრივი სიკვდილით დამპყრობლებს კი ანახვებდნენ, რომ ამ თავდადებულთა სისხლი კი არ შლიდა და ასუსტებდა, არამედ უფრო აქვითკირებდა ქართველთა ბრძოლას თავისუფლებისათვის. საქართველოს მეფეებმა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების მდიდარ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, ქართველი ხალხის გაუტეხელობითა და მუდმივი მხარდაჭერით, შეძლეს და შეინარჩუნეს: თავისი ეროვნული სახე; ძირძველი ქართული სახელმწიფოებრიობა; დამპყრობთა შედარებით გაცილებით მაღალი საზოგადოებრივი წყობა და სულიერი კულტურა; ქრისტიანობა – სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობა. ეს უდიდესი გამარჯვება იყო. ქართველთა გაუტეხელობისაგან „მსოფლიო მრისხანებით" შეპყრობილ შაჰ-აბას I-ს აკი წარმოუთქვამს კიდევაც: „თურმე შეუძლებელია „მოკვლა საქართველოსი", თურმე მართლა მარადიული უკვდავების სული ანთია ამ უცნაური ხალხის სხეულში – ხან მიმნავლებული, ხან უაღრესად გამძლავრებული".

საქართველოს მეფეებმა „შეუძლებელი" შეძლეს – გმირული თავ-განწირვით, შრომითა და აღმშენებლობით ქვეყანა მიჰყავდათ გადარჩენის ერთადერთი გზით, პროგრესის გზით, ჰქმნიდნენ საქართველოს აწყმოსა და მომავალს. ესაა საგვარეულო, რომლის წარმომადგენლებმა მოგვცეს უმაღლესი ზნეობისა და პიროვნული სიმტკიცის, სამშობლოსა და სარ-წმუნოებისადმი ჭეშმარიტი სიყვარულის, მისთვის თავდადებისა და თავგანწირვის მრავალი მაგალითი, შთამომავლობისათვის თავისებურ გაკვეთილად და ანდერძად რომ დარჩა და ასეთად რჩება დღესაც. შედარებისთვის, გვიან შუა საუკუნეებში არც ერთ ქართველ მეფეს ხალხთან სოციალური კონფლიქტი არ ჰქონია. ეს მაშინ, როცა ფრანგებმა თავი მოჰკვეთეს საკუთარ მეფეს, ასევე მოიქცნენ ინგლისელებიც, მოგვიანებით კი - რუსებიც. ბაგრატიონებმა კი საერთო სახალხო სიყვარული შეინარჩუნეს, ქართველი ხალხის ცხოვრებაში დარჩნენ დამოუკიდებლობისა და სახელ-მწიფოებრივი წესრიგის სიმბოლოდ.

ის, რაც ვერ შეძლო მრავალსაუკუნოვანი ბრძოლებით მაჰმადიანურმა

სამყარომ, ეს გააკეთა თითქმის უბრძოლველად ჩრდილოელმა მეზობელმა. სამწუხაროდ, ქვეყნის მაშინდელმა (XVIII-XIX საუკუნეების მიჯნა) მესვეურებმა, ერთმორწმუნე რუსეთს მეგობრად, ძად და მფარველად რომ მიიჩნევდნენ, ვერ გაითვალისწინეს რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის გაკვეთილები – მრავალჯერ მფარველობისა და დახმარების დაპირება მრავალჯერვე დაპირებად რომ რჩებოდა, ჩრდილოეთიდან „თეთრი კეისრის" მიერ სამფარველოდ „გამოწვდილი ხელი" კი საქართველომდე არა და არასდროს აღწევდა (!).

ისტორია სჯის თავისი გაკვეთილების გაუთვალისწინებლობისათვის. მეტისმეტად მკაცრი აღმოჩნდა ისტორიის სასჯელი საქართველოსთვის, მისი შემდგომი ბედისთვის... წიგნში ყურადღების მიღმა არაა დარჩენილი ის პერიპეტიებიც, ცარისტული რუსეთის ვერაგულ, შოვინისტურ პოლიტიკას თან რომ სდევდა საქართველოში. ნაჩვენებია ისიც, რომ მიუხედავად ასეთი მზაკვრული პოლიტიკისა, ქართულ სულს, ქართულ გენს არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

არსებობა შეწყვიტა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიამ – მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივმა სამეფო დინასტიამ.

ამ ყველაფერზე და კიდევ არაერთ საინტერესო, საჭირბოროტო, საკითხზეა მსჯელობა ამ მართლაც იშვიათსა და შესანიშნავ ორტომეულში.

ასეთ წიგნს ვერ დაწერ, თუ არ ხარ შენი ქვეყების, მშობლიური ისტორიის სიყვარულით დაჯილდოვებული;

ასეთ წიგნს ვერ დაწერ, თუ არ გიპყრობს, თუ არ გეუფლება განცვიფრება საქართველოს ისტორიის სიდიადის წინაშე _ ქვეყნისა, რომლის ისტორია ერთი დიდი „დაუსრულებელი და ღრმა დრამაა", ქვეყნისა, რომლის ისტორია ხსნისა და გადარჩენისათვის მუდმივი ბრძოლაა...

ასეთ წიგნს ვერ დაწერ, თუ არ განიცდი ეპოქის სულს, თავს თუ არ გრძნობ ისტორიული პროცესებისა და მოვლენების უშუალო მონაწილედ.

წიგნი დაწერილია მხატვრული აზროვნების მაღალი კულტურით _ მოვლენების ცოცხლად აღწერით, მდიდარი ენით, შედარებებისა და ეპითეტების გამოყენებით, ოსტატური და მიმზიდველი თხრობით. ამის შედეგია, რომ წიგნი მკითხველზე ახდენს დიდ ემოციურ ზეგავლენას.

ჩვენს წინაშე, საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველის წინაშე, დევს ფრიად ორიგინალური, თავისუფალი აზროვნების კლასიკური ნიმუში. წასაკითხი წიგნია - აუცილებლად წასაკითხი. ნამდვილად რომ დაამშვენებს საოჯახო ბიბლიოთეკას.

***

დღეს საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში მთავარი საფრთხე ეროვნული ცნობიერების დევალვაციაა, ეროვნული ღირებულებების უგულებელყოფაა. შესაბამისად, საქართველო არაეროვნულ სახელმწიფოდ გარდაქმნის საშიშროების წინაშე დგას.

სწორედ ახლაა საჭირო საქართველოს ისტორიის გაკვეთილების გათვალისწინება, ჩვენი წინაპრები სახელმძღვანელოდ რომ გადმოსცემდნენ თაობიდან თაობას... მით უფრო, რომ არც ისტორია ამბობს უარს „დაუწერელ კანონზე" – თავისი გაკვეთილების გაუთვალისწინებლობისთვის სასჯელი რომ აქვს დადგენილი...